საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/57 " 5 " ივნისი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე
სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე წლის 17 მარტის №06-2388 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა. წერილში აღნიშნულია, რომ 2020 წლის 1 მაისს იჯარის ხელშეკრულებების მოქმედების ვადის გასვლის გამო, სასამართლოების საჭიროებებიდან გამომდინარე, საჭიროა სარგებლობის უფლებით გაცემული ფართების კვლავაც გაცემა იმავე დანიშნულებით, ასევე ახალი ფართების გაცემა 2023 წლის 1 მაისამდე. კერძოდ, სარგებლობის (იჯარის) უფლებით საჭიროა გაიცეს შემდეგი ფართები:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობაში (მდებარე ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი 7ა, საკადასტრო კოდი 01.13.04.008.003) არსებული 2 კვ.მ. ფართი 1 ცალი სწრაფი გადახდის და 1 ცალი ყავის აპარატის განთავსების მიზნით;

ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში (მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, საკადასტრო კოდი 01.72.14.034.610) ბანკის სალაროს ფუნქციონირებისათვის მოქალაქეთა მომსახურების ცენტრში არსებული 12,5 კვ.მ. ფართი და 2 კვ.მ. ფართი 2 ცალი სწრაფი გადახდის აპარატის განთავსების მიზნით;

გ) თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში (მდებარე ქ. თბილისი, პეკინის გამზირი №29, საკადასტრო კოდი 01.10.13.013.004.01.515) არსებული 1 კვ.მ. ფართი 1 ცალი ყავის აპარატის განთავსების მიზნით;

დ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს შენობაში (მდებარე ქ. ბათუმი, ზუბალაშვილების ქ. №30, საკადასტრო კოდი 05.22.45.018) არსებული 1 კვ.მ. ფართი 1 ცალი სწრაფი გადახდის აპარატის განთავსების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №326 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემისას საჯარო აუქციონის ჩატარების შესახებ დებულების" პირველი მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის" პირველი მუხლის მე-14 პუნქტის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, განახორციელოს მის სარგებლობაში არსებული ზემოაღნიშნული ფართების სარგებლობაში გადაცემა 2020 წლის ივნისიდან 2023 წლის 1 მაისამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი